რედაქტორისგან

ხშირად მიფიქრია: ალბათ არც ერთ სფეროს ჩვენს ქვეყანაში არ განუცდია იმდენი ცვლილება, რამდენიც განათლების სისტემას.

ცვლილებები, თავისთავად, კარგია, მათ შორის – სისტემურიც და საკადროც.

გვახსოვს ხმაურიანი, მკვეთრი, ხისტი რეფორმები, მათ შორის – აუცილებლად გასატრებელიც.

განათლებაში რეფორმების შედეგების დასანახავად დიდხანს ლოდინია საჭირო, ზოგჯერ – წლობითაც.

დღეს განათლების სისტემა, სკოლა, მოსწავლე და მასწავლებელი ისევ სიახლეთა მოლოდინში არიან.

სიახლეები უამრავ კითხვას ბადებს და უკვე დროა, პასუხები იყოს თითქმის ზუსტი, ხოლო მოსალოდნელი შედეგი – გათვლილი.

დღეს მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებშიც გაისმის არაერთგვაროვანი შეფასებები განათლების სისტემაში მომხდარი და მოსახდენი ცვლილებების თაობაზე; ხშირად საუბრობენ უსაფრთხო სკოლის პოლიტიკაზე, ეროვნულ გამოცდებზე, მოსწავლეთა უფლებებსა და მოვალეობებზე, სერტიფიცირებაზე, სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით დათხოვნილ მასწავლებლებზე.

ამ თემებზე თითქმის ყველა პოლემიკას გულისყურით ვისმენ და თვალყურს ვადევნებ.

ველი, რომ ისინი, ვისაც ევალება ზრუნვა განათლების გავრცელების მთავარ ფიგურაზე, მასწავლებელზე, ალაპარაკდებიან უმთავრეს პრობლემაზე – მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, ამ განვითარების გზებზე, მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

და, რაც მთავარია, დადგება დღე, როდესაც მასწავლებელი იტყვის, რომ, დიახ, ის პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს და რომ მისი შრომა დაფასებულია.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N5(23),2012

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: გიორგი ნოზაძე, მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, მარიკა სიხარულიძე, ანა ჯანელიძე, ნონა ლეიაშვილი, ქეთო ნინიძე, თეო ჭყოიძე, ქეთევან კუპატაძე, მაია ფირჩხაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

რეკომენდაცია

ნინო ლაბარტყავა

7 როგორ დავეხმაროთ პირველკლასელებს

სწორედ სკოლაში, პირველი კლასიდანვე ვიზრუნოთ თანამშრომლობის უნარის განვითარებაზე, შევაჩვიოთ პატარა მოსწავლეები ერთად თამაშს, სხვადასხვა საქმიანობის ერთად შესრულებას.

გიორგი ნოზაძე

26 მოსწავლეთა შეფასება

საჭიროა წინსწრებით და მართებულად ჩატარებული შუალედური განმავითარებელი შეფასებები, რომლებსაც მაღალი დიაგნოსტიკური შესაძლებლობები აქვს და შეუძლია გააფრთხილოს მოსწავლე და მასწავლებელი მოსალოდნელი მარცხის შესახებ.

თეო ჭყოიძე

44 ქცევის სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში

მონაწილეთა განსხვავებების, ინტერესის სფეროების სიღრმისეულად შესასწავლად და ისეთი გადაწყვეტილების ასარჩევად, რომელიც ყველა მხარისთვის მისაღები იქნება, საჭიროა შრომა, მოლაპარაკებების წარმართვა, შემოქმედებითი მიდგომა და ახალი ალტერნატივების შესწავლა, რაც დიდ დროს მოითხოვს.

ექსპერტი

თეო ნეფარიძე

14 დიდი კლასის მართვა

დიდ კლასში მოსწავლეებიც ეჯახებიან თავისებურ სირთულეებს სწავლის პროცესში. განსაკუთრებით ახალგადაყვანილ მოსწავლეებს უჭირთ გაარკვიონ, რა ინფორმაციაა მნიშვნელოვანი; უჭირთ შეკითხვების დასმა, რეალური ცოდნის გამომჟღავნება, დროის სწორად განაწილება/გამოყენება. მეტია ცდუნება, მოსწავლეებმა უხეშად გააკრიტიკონ მასწავლებელი.

მანანა ბოჭორიშვილი

22 ტრანსფერული ცოდნის შეძენის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები

თუ ამოცანად იმას დავისახავთ, რომ მარტო ცოდნა და უნარ-ჩვევები კი არ გადავცეთ მოსწავლეებს, არამედ იმ იდეებითაც დავაინტერესოთ, რომლებიც მათ მიერ მიღებულ ცოდნასა და განვითარებულ უნარ-ჩვევებს უდევს საფუძვლად, იმასაც შევძლებთ, სწავლების პროცესი მათთვის უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს.

რესურსი

ქეთო ნინიძე

33 ბიოგრაფიული ლიტერატურა როგორც სასწავლო მასალა

გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისეული გამოცდილების გაცნობა წააქეზებს მოზარდებს საკუთარ გამოცდილებაში ჩაღრმავებისკენ, სააზროვნო ჰორიზონტს გაუფართოებს მათ და, რაც მთავარია, მარადიულ ღირებულებებს აზიარებს.

ნათია ნაფეტვარიძე

53 ბესიკის ბაღში გადარგული ფრანგული სიმბოლიზმი

სიმბოლისტების მიერ შემოტანილი ყველაზე აშკარა ცვლილება პოეტიკის მხატვრული ხორცშესხმის ფორმას ეხება. სიმბოლიზმის კონტექსტში ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები იწყებს თამაშს სწორედ პოეტიკური აზროვნებით, პოეზია იქცევა აზროვნების ფორმად.

თამარ კაციტაძე

51 გარდატეხის ასაკი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

თუ ბავშვი არ იხსნება მშობელთან, მაშინ მშობელი თავად უნდა დააკვირდეს მის ინტერესებს, განვითარებას, თუ შესაბამისი განათლება არ აქვს, მიიღოს საჭირო ინფორმაცია და ამის შემდეგ მიაწოდოს შვილს გარკვეული ცნობები.

შინაარსი

48

მოსაზრება

მაია ფირჩხაძე

11 | უკუკავშირი და სასწავლო პროცესი

სწავლა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას და ქმედებათა განხორციელებას უკუკავშირით მიღებული შედეგების მიხედვით. შესაბამისად, უკუკავშირის სისტემა ნათელყოფს, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მუშაობს სასწავლო პროცესის ყოველი დეტალი.



ანა ჯანელიძე

18 | ადრეული განათლების მნიშვნელობა მომავალი წარმატებისთვის

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ისე საზოგადოების განვითარებისთვისაც.

ნონა ლეიაშვილი

40 | მხატვრული პერსონაჟის ახლებური გააზრებისთვის

არ არსებობს მხატვრული ტექსტის ერთადერთი, კანონიკური წაკითხვა. როგორც ამბობენ, ის ყოველთვის მკითხველის პიროვნებაში „გარდატყდება“, ანუ ხდება ნაწარმოების ინდივიდუალური აღქმა.

გლობალური სკოლა

მარიკა სიხარულიძე

37 | სკოლის გამოსაშვები გამოცდების ევროპული გამოცდილება

საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებისთვის სიახლე არ არის, რომ ევროპულ ქვეყნებში სკოლის გამოსაშვები გამოცდების მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს. მეტიც, ძალიან ხშირად ისინი უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებსაც მოიცავს.

რჩევა

რუსუდან თაყაიშვილი

48 | მუსიკის სწავლება უსინათლო ბავშვებისთვის

სკოლაში მუსიკის სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომა ემყარება მუსიკის ნეირობიოლოგიის კვლევების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც მუსიკის სწავლის პროცესი თავის ტვინის ჰარმონიულ ფუნქციობას უწყობს ხელს.

ინტერვიუ

ნინო რევიშვილი

4 | „ვაღიარეთ, რომ ჩვენც, ზრდასრული და გონიერი ადამიანები, ზოგჯერ ვცდებით!“

საკლასო გარემოში ყველაზე მნიშვნელოვანი ის კი არაა, რა ფაქტობრივ ცოდნას გადასცემს მასწავლებელი მოსწავლეს. მთავარია, პედაგოგმა ბავშვებს სიახლის მიღების, ახალი ცოდნის აღმოჩენის ცნობისმოყვარეობა გაუღვივოს.



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30